სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	სამტრედიის „ფენიქსი“ - ფოთის „კოლხი რაინდები“		
გუნდი	ფოთის „კოლხი რაინდები“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	4/11/2023	მატჩის ადგილი	სამტრედია
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ფოთის „კოლხი რაინდები“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება		დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3 : **თამაშის უფლების არ მქონე ოთამაშის მონაწილეობა თამაშში.**	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	13/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მენეჯერი ბაჩო ჩაჩავა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #35 (08/11/2023)
2. მატჩის მეთვალყურის, მარიამ მახათაძის მატჩის ოქმი (04/11/2023);
3. მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის მატჩის ოქმი. რეგიონალური ლიგა - ფოთის „კოლხი რაინდები“ - ჩოხატაურის „ჯანი“ (01/10/2023)
4. სრკ-ს მოთამაშეთა მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის ელ.ფოსტა 08/11/2023.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

სამტრედიის „ფენიქსი“-ს მენეჯერმა ბაჩო ჩაჩავამ, აღიარა დარღვევა, კერძოდ : რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) V ტურის მატჩში სამტრედიის „ფენიქსი“-ს წინააღმდეგ, ფოთის „კოლხი რაინდები“-ს შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ ფაციამ რომელიც არ არის რეგისტრირებული სრკ-ში როგორც „კოლხი რაინდები“-ს რეგიონალური ლიგის გუნდის მოთამაშე. ბაჩო ჩაჩავას განცხადებით სრკ-ში წარდგენილი „კოლხი რაინდები“-ს რეგიონალური ლიგის მოთამაშეთა საშეჯიბრო განაცხადში კლუბის ხელმძღვანელობას გამორჩა ნიკოლოზ ფაციას ჩაწერა.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 04/11/2023 გაიმართა რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) V ტურის მატჩი სამტრედიის „ფენიქსი“-სა და ფოთის „კოლხი რაინდებს“ შორის;
2. მატჩის მეთვალყურის, მარიამ მახათაძის ოქმის მიხედვით, თამაშში მონაწილეობა მიიღო „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშემ ნიკოლოზ ფაციამ (#17) რომელიც არ არის რეგისტრირებული სრკ-ში წარდგენილი „კოლხი რაინდები“-ს 2023-2024 სათამაშო სეზონის საშეჯიბრო განაცხადში.
3. მატჩის მეთვალყურის, ზურაბ ზვიადაძის ოქმის(01/10/2023) მიხედვით, თამაშში მონაწილეობა მიიღო „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშემ ნიკოლოზ ფაციამ (#17) რომელიც არ არის რეგისტრირებული სრკ-ში წარდგენილი „კოლხი რაინდები“-ს 2023-2024 სათამაშო სეზონის საშეჯიბრო განაცხადში.
4. სრკ-ს მოთამაშეთა მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის წერილის მიხედვით - მოთამაშე ნიკოლოზ ფაცია არ არის რეგისტრირებული სრკ-ში 2023-2024 სათამაშო სეზონში ფოთის „კოლხი რაინდები“-ს რეგიონალური ლიგის გუნდის საშეჯიბრო განაცხადში.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ, სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, დადგენილად ცნო ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მხრიდან 2023-2024 სათამაშო სეზონის განმავლობაში ორ მატჩში სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს „ **თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში“** მუხლის დარღვევა. რაც გულისხმობს სრკ-ში რეგისტრაციის არ მქონე მოთამაშის მონაწილეობას თამაშში.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ფოთის „კოლხ რაინდებს“ 04/11/2023 გაიმართულ რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) V ტურის მატჩში სამტრედიის „ფენიქსი“-ს წინააღმდეგ ჩაეთვალოს წაგება დააკლდეს 5 (ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. ფოთის „კოლხ რაინდებს“ 01/10/2023 გამართულ რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) II ტურის მატჩში ჩოხატაურის „ჯანი“-ს წინააღმდეგ ჩაეთვალოს წაგება დააკლდეს 5 (ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. ჩოხატაურის „ჯანს“ 01/10/2023 გამართულ რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) II ტურის მატჩში ფოთის „კოლხი რაინდები“-ს წინააღმდეგ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.
4. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მხრიდან ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, „კოლხ რაინდებს“ რეგიონალურ ლიგაში დამატებით დააკლდებათ 4(ოთხი) საცხრილო ქულა.
5. ფულადი ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სრკ-ს შემდეგ ანგარიშზე :
   სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22, ანგ.# GE38TB7385836080100005, მიმღების სახელი: საქართველოს რაგბის კავშირი.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	13/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**